დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ დირექტორის
2019 წლის 12 ივლისის N198 ბრძანებით
ცვლილება: ბრძანება N01-4/144 (04/10/2024)

ა(ა)იპ კოლეჯიში ,,პრესტიჟი“
სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის
პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია

1. ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“ ვალდებულია დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო პირობები, შეასრულოს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული წესები; განახორციელოს ღონისძიებები ტექნიკის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სფეროში.
2. ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“ პასუხისმგებელია დასაქმებულთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოებასა და ჯანსაღი სამუშო/სასწავლო გარემოს შექმნაზე კოლეჯში მათი ყოფნისა და კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.
3. (ამოღებულია)
4. დასაქმებულების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, შენობის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების ინსტრუქციის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესების შესრულება.
5. აკრძალულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა;
6. დასაქმებული ვალდებულია:
   ა) დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესის პირობები;
   ბ) შეასრულოს კოლეჯის დირექციის/ზემდგომის მითითებები;
   გ) გაუფრთხილდეს მასზე მინდობილ კოლეჯის ქონებას, დაზიანების ან დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს/შესაბამის პასუხისმგებელ პირს სამსახურებრივი ბარათი აღნიშნული ფაქტის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე მინდობილი ქონების დაკარგვის შემთხვევაში ვალდებულია აანაზღაუროს მისი ბრალეული ქმედების შედეგად კოლეჯისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი;
   დ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
   ე) წესრიგში იქონიოს თავისი სამუშაო ადგილი, დაიცვას სისუფთავე და სიმშვიდე დაწესებულებაში.
7. დასაქმებული, რომელიც არასამუშაო დროს იმყოფება სამუშაო ადგილზე და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, ამავე დროს ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხო გარემოს

უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული წესები და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას.

8. დასაქმებული ვალდებულია გაუფრთხილდეს კოლეჯის მიერ სამუშაოს შესასრულებლად მასზე გადაცემულ გასაღებს/გასაღებებს, ლეპტოპი და ა.შ. და არ დაუშვას უშუალო ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე მათი გადაცემა მესამე პირთა მფლობელობაში და კოლეჯის ტერიტორიიდან მათი გატანა.
9. ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი" ფუნქციონირებს პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მედდა შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, გამოძახებულ იქნება საგანგებო გადაუდებელი დახმარება (112).
10. ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი" იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე. შესაბამისად, მედდის მიერ გადამოწმებული იქნება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვარგისიანობა და შემდგომ მათი გამოყენება.
11. ა(ა)იპ კოლეჯში ,,პრესტიჟი" უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებია:
    ა) დაცვის თანამშრომელი (დარაჯი), ვიდეოკამერები ეზოსა და ყველა სართულზე;
    ბ) თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
    გ) ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა და ევაკუაციის პროცედურები, რომლის თანახმადაც ხორციელდება შენობის უსაფრთხო დატოვება.
12. ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი" უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ქმედება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულთა უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს დასაცავად, რომელიც წინამდებარე წესით არ არის განსაზღვრული, თუმცა, შესაძლოა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას.
13. საგანგებო ვითარების დროს, საჭიროების შემთხვევაში, ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი" ადმინისტრაცია უკავშირდება შესაბამის უწყებებს (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (112) და ა.შ).
14. ა(ა)იპ კოლეჯში ,,პრესტიჟი" საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის მიზანია წყალდიდობის, ხანძრის, მიწისძვრის და სხვა ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულთა დაცვის საერთო ორგანიზაციული ღონისძიებების წარმართვა. ასევე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება, საფრთხეების იდენტიფიცირება და შეფასება, საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების, საავარიო - სამაშველო სამუშაოების და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განხორციელება, აგრეთვე მსგავსი ტიპის სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან დაკავშირება.
15. ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი"ტერიტორიაზე სკოლის მოსწავლეების/მცირეწლოვანი ბავშვების ვიზიტის შემთხვევაში, საჭიროა მათი მუდმივი მეთვალყურეობა თანმხლები პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ. არ შეიძლება სკოლის მოსწავლეების/მცირეწლოვანი ბავშვების შეშვება საფრთხის შემცველ ადგილებში ან ნებისმიერ სხვა ადგილას (მაგ. კოლეჯის აუდიტორია, სასწავლო სახელოსნო), სადაც ზედამხედველი პირი ჩათვლის, რომ ელექტროჩამრთველების, ელექტრომოწყობილობებისა და სხვა ტექნიკის უნებართვო გამოყენება საფრთხის შემცველია.

16. ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ ტერიტორიაზე/სამუშაო სივრცეში მყოფი დასაქმებული/სხვა პირი ვალდებულია იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებით, ამ წესით და დაემორჩილოს დადგენილ სამუშაო პროცედურებს. არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები, დაემორჩილოს კოლეჯის ტერიტორიაზე/სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.
17. ა(ა)იპ კოლეჯში ,,პრესტიჟი“ განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ხოლო, პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი ვალდებულია მოდულით გათვალისწინებული თემატიკის/მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტებს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.